

სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის ლიანა კაჯაშვილის შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით			
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს			<input type="checkbox"/>
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს			<input type="checkbox"/>
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს			✓
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			
კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა	
სამართლის ნორმების ცოდნა	19	20	
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20	
წერის უნარი	18	20	
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15	
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15	
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	2	5	
პროფესიული აქტივობა	2	5	
ქულათა ჯამი	88	100	

ლევანი თევზამე



თარიღი:

14.10.256



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ლევანი თევზაძე

17 აპრილი, 2025 წელი

თბილისი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 30 დეკემბრის №1/161 განკარგულებით (2024 წლის 31 დეკემბრის №1/163 განკარგულებით ცვლილება შევიდა 2024 წლის 30 დეკემბრის №1/161 განკარგულებაში) დაწყებულ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის - ლიანა კაჯაშვილის

შეფასება

1. პროცედურის შესახებ:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 30 დეკემბრის №1/161 განკარგულებით (2024 წლის 31 დეკემბრის №1/163 განკარგულებით ცვლილება შევიდა 2024 წლის 30 დეკემბრის №1/161 განკარგულებაში) დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შესარჩევი პროცედურა, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე, მოსამართლეობის კანდიდატის შესარჩევად.

მითითებულ პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა ლიანა კაჯაშვილი.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისშა სამსახურმა, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34² მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია კანდიდატის შესახებ, რომელსაც გავეცანი დეტალურად.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34¹ მუხლის შე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, 2025 წლის 6 მარტს, ჩატარდა კანდიდატის საჯარო მოსმენა.

საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34¹ მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, კანდიდატი, როგორც სამოსამართლო გამოცდილების მქონე, შევაფასე - „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-15 და მე-17 პუნქტების შესაბამისად.

2. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი სამსახურის მიერ მომოვებული ინფორმაცია:

კანდიდატი 38 წლისაა. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (მაგისტრი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი). სპეციალობით მუშაობს 13 წელია, მათ შორის - მოსამართლედ 3 წელი და 10 თვეა. კერძოდ:

- 2011-2016 წლები - კონსულტანტი, სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიურო;
- 2016-2021 წლები - ადვოკატი სამოქალაქო-ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით, სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიურო;
- 2017-2021 წლები - ტრენერი, სსიპ ადვოკატთა ასოციაცია;
- 2019-2020 წლები - მსმენელი, იუსტიციის უმაღლესი სკოლა;
- 2021 წლის 18 ივნისიდან განწესდა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე.

კანდიდატის შესახებ წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებშიც რეკომენდატორები კანდიდატს დადებითად ახასიათებენ და მიიჩნევენ, რომ ის სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს.

ლიანა კაჭაშვილის შესახებ ინტერნეტ-სივრცეში ხელმისაწვდომია ინფორმაცია მისი მოსამართლის თანამდებობაზე განწესებისა და მის მიერ განხილულ საქმეებთან დაკავშირებით. კანდიდატი სარგებლობს სოციალური ქსელებით. იგი არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი /მხარდაჭერი/ შემომწირველი.

კანდიდატის სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დაფალიანება; აქვს შიძლინარე სესხები, დადებითი საკრედიტო ისტორია. კანდიდატის სახელზე არ არის რეგისტრირებული უმრავი ქონება. უმრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია შესაბამისობაშია მის მიერ წარმოდგენილ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან. მეწარმესა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ლიანა კაჯაშვილი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ერთიან საინფორმაციო ბანკში არ ირიცხება.

საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოებულ დაგებში კანდიდატი ლიანა კაჯაშვილის მხარედ მონაწილეობის თაობაზე ინფორმაცია არ არსებობს; კანდიდატი არ ყოფილა ცნობილი დაზარალებულად რომელიმე საქმეში; მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება არ განხორციელებულა.

კანდიდატს საქმის განხილვის საპროცესო ვადები დაცული აქვს საქმეთა 95% შემთხვევაში, საქმეთა 100% შემთხვევაში დაცული აქს გადაწყვეტილების მოშჩადების საპროცესო ვადები, მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები, ზემდგომ სასამართლოში გასაჩივრების შესდეგ, უცვლელი დარჩა საქმეთა 88.4% შემსხვევაში.

კანდიდატმა წარმოადგინა მის მიერ განხილულ ორ სამოქალაქო საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილებები.

კანდიდატი მონაწილეობდა რიგ სასწავლო ღონისძიებებში (მაგ: 2022 წლის 1-3 დეკემბერი, თბილისი, „ბი'ნესის რეაბილიტაციისა და გადახდისუნარობის პრაქტიკოსთა ასოციაციის“ (BRIPA) მიერ გადახდისუნარობის რეფორმის ხელშეწყობის მიზნით განხორციელებული პროექტის ფარგლებში, ახალი გადახდისუნარობის კანონმდებლობის აქტუალურ საკითხებზე გამართული სამუშაო შეხვედრა; 2023 წლის 11-12 თებერვალი, ყვარელი, USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამის მხარდაჭერით ერთობლივად გამართული სამუშაო შეხვედრა - „მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის აღსრულების პროცესთან დაკავშირებით“; 2023 წლის 1-2 აპრილი, ახალციხე, ეკროპის საბჭოს ოფისთან (CoE) თანამშრომლობით ეკროპის სოციალურ ქარტიასთან დაკავშირებით მოსამართლებისათვის გამართული სემინარი; 2023 წლის 28-30 ივნისი, კომპლექსი ლოპოტა, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით დაგეგმილი სამუშაო შეხვედრა; 2023 წლის 15-16 ივლისი, კახეთი, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ „საქართველოს საერთაშორისო საარჩიტრაჟო ცენტრის“ (GIAC) ორგანიზებითა და აშშ-ის კომერციული სამართლის პროგრამის (CLDP) მხარდაჭერით დაგეგმილი სამუშაო შეხვედრა - „ინფრასტრუქტურული პროექტებიდან წარმოქმნილი სამართლებრივი ურთიერთობების - დავების გადაწყვეტის მექანიზმების სპეციფიკა - ადგილობრივი და საერთაშორისო პერსპექტივები“ და ა.შ.).

ლიანა კაჯაშვილმა 2009 წელს ჩააბარა ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა, 2010 წელს ჩააბარა პროცესუატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა, ხოლო 2019 წელს

ჩააბარა მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით.

კანდიდატი ამჟამად არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას, თუმცა 2017 - 2021 წლებში სხიძ ადვოკატთა ასოციაციაში იყო ტრენირი.

კანდიდატი ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

3. კანდიდატის საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია:

საჯარო მოსმენისას ლიანა კაუშვილს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა დაუსვეს როგორც ზოგადი, ისე - სამართლებრივი შეკითხვები, სამართლის სხვადასხვა დარგიდან.

დასმულ შეკითხვებზე მისი პასუხები იყო თანმიმდევრული და არგუმენტირებული, თუმცა გამოვლინდა გარკვეული ხარვეზები მის მიერ გაცემულ პასუხებში.

4. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით ნებისმიერი კანდიდატის შეფასებისას, მოქმედებს პრეზუმაცია, რომ კანდიდატი არის კეთილსინდისიერი, ე.ი. - აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ხუთივე მახასიათებლის (სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატისათვის): ა) პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი, ბ) დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა, გ) პიროვნული და პროფესიული ქცევა, დ) პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია და ე) ფინანსური ვალდებულება - მოთხოვნებს, თუ წარმოდგენილი არ არის ამ პრეზუმაციის გამაქარწყლებელი, სანდო ინფორმაცია.

კანდიდატის შესახებ დოკუმენტური, ასევე - მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის (იხ: ამ შეფასების მე-2 პუნქტი) ანალიზიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ:

კანდიდატს, როგორც მოქალაქეს აქვს მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის მაღალი შეგნება, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი ან სხვა მოვალეობების, ფინანსური ან სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის, საგზაო მომრაობის წესების დარღვევისთვის ჯარიმის გადახდისას).

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პიროვნული კეთილისინდისიერებისა და პროფესიული სინდისის“ მახასიათებელს.

კანდიდატი არის დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და სამართლიანი, მას ახასიათებს პიროვნული სიმყარე, პრინციპულობა, არის შეუვალი და მედეგი ზეგავლუნის მიმართ.

შესაბამისად მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის“ მახასიათებელს.

კანდიდატს შეუძლია საკუთარი ემოციების მართვა, არის კორექტული, მიზანდასახული, შრომისმოყვარე, საქმისადმი ერთგული, გააჩნია სხვისი აზრის გულდასმით მოსმენის უნარი, ამდენად, ყველა შესაძლო პროცედურის (დისციპლინური, სისხლის ან სხვაგვარი სამართალწარმოება) დროს, კანდიდატის ქცევა იქნება სათანადო, შექმნილი ფაქტობრივი/სამართლებრივი რეალობის აღყვარული.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პიროვნული და პროფესიული ქცევის“ მახასიათებელს.

კანდიდატი საზოგადოებასა და თურიდიულ წრეებში სარგებლობს დადებითი რეპუტაციით, ამ დასკვნის გამაქარწყლებელი, ასევე - მოსამართლის სტატუსთან შეუთავსებელი ურთიერთობების შესახებ ობიექტური ინფორმაცია ან არგუმენტირებული მოსაზრება ჩემთვის უცნობია.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის“ მახასიათებელს.

კანდიდატის შემოსავლის წყაროს და ოდენობის, აქტივების, მის საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული ქონების და მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ერთობლივად გაანალიზების შედეგად, მივიჩნიე, რომ არ არსებობს წინააღმდეგობა მოსამართლის ქონებრივ ინტერესებსა და მართლმსაჯულების ინტერესებს შორის, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს საფრთხეს მოსამართლის მიუკერძოებლობისადმი.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „ფინანსური ვალდებულების“ მახასიათებელს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან მივიჩნიე, რომ კანდიდატი კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ხუთივე მაჩასიათებელს სრულად აკმაყოფილებს, ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-15 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით საფუძველზე მივედი იშ დასკვნამდე, რომ კანდიდატი ლიანა კუაშვილი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

5. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

კანდიდატის შესახებ დოკუმენტური, ასევე - მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის (იხ: ამ შეფასების მე-3 პუნქტი) ანალიზიდან გამომდინარე, გაირკვა:

კანდიდატს გააჩნია საქართველოს კონსტიტუციის, სამოქალაქო სამართლის მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების კარგი ცოდნა. შესაბამისად, კანდიდატი, საჯარო მოსმენისას გამოვლენილი შეცდომების/ხარვეზების შემთხვევების და კითხვების სირთულის გათვალისწინებით, ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „სამართლის ნორმების ცოდნის“ მახასიათებლის მიხედვით, უნდა შეფასდეს 19 ქულით (მაქსიმალური -20);

კანდიდატს აქვთ პროფესიული კუთხით მუშაობის დიდი გამოცდილება და ანალიტიკური აზროვნების კარგი უნარი. მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები არის სამართლებრივად დასაბუთებული, გადაწყვეტილებათა დასაბუთების პროცესში კი იგი იყენებს როგორც შიდასახელმწიფო მინისტრი, ასევე საერთაშორისო აქტრების და ეკრანული სასამართლოს პრაქტიკას. კანდიდატმა წარმოადგინა მის მიერ განხილულ ორ სამოქალაქო სამართლის საქმის მიღებული გადაწყვეტილებები, რომელთა გაანალიზებით დგინდება, რომ კანდიდატი ხანდახან იყენებს რთულ წინადადებებს, რაც გადმოცემული აზრის სათანადოდ აღქმას აძნელებს.

აღნიშნული გარემოებების (ხარვეზის) გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „სამართლებრივი დასაბუთებების უნარის და კომპეტენციის“ მახასიათებლის მიხედვით, უნდა შეფასდეს 19 ქულით (მაქსიმალური - 20 ქულა);

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებების შესწავლით დავადგინე, რომ კანდიდატის მსჯელობა ძირითადად ლოგიკური და ანალიტიკურია, თუმცა ზოგჯერ უშვებს პუნქტუაციურ შეცდომებს, რაც აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემას გარკვეულწილად აფერხებს.

აღნიშნული გარემოებების (ხარჯების) გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შერის უნარის“ მახასიათებლის მიხედვით, უნდა შეფასდეს /8 ქულით (მაქსიმალური - 20 ქულა);

კანდიდატი მეტყველებს გამართულად, მცაფიოდ აფალიბებს თავის პოზიციებსა და მოსაზრებებს, ამასთან აქვს განსხვავებული აზრის მოსმენის უნარი. საჯარო მოსმენისას დასმულ შეკითხვებს უმეტესწილად პასუხობდა სწორად და გასაგებად.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეპირი კომუნიკაციის უნარის“ მახასიათებლის მიხედვით, უნდა შეფასდეს /4 ქულით (მაქსიმალური 15 ქულა);

კანდიდატი არის კეთილსინდისიერი, მიზანდასახული, პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობით გამორჩეული, თავშევავებული, პუნქტუალური, გამოირჩევა სტრუქტულ სიტუაციაში წარმატებით მუშაობის უნარით; მისი ქცევა სასამართლო დარბაზში ასევე არის სათანადო, რის გამოც ის სასამართლო სხდომას წარმართავს კარგად, გადაწყვეტილებას კი იღებს დამოუკიდებელი აზროვნების საფუძველზე.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პროფესიული თვისებების (მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში)“ მახასიათებლის მიხედვით, უნდა შეფასდეს /4 ქულით (მაქსიმალური 15 ქულა);

კანდიდატი მუდმივად ზრუნავს თვითგანვითარებაზე, ეცნობა უახლეს პრაქტიკას და ახალ ლიტერატურას, აღნიშნულ ცოდნას კი აქტიურად და მიზნობრივად იყენებს სამოსამართლეო პრაქტიკაში. არ ეწევა სამეცნიერო საქმიანობას.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის“ მახასიათებლის მიხედვით, უნდა შეფასდეს 2 ქულით (მაქსიმალური 5 ქულა).

კანდიდატი მონაწილეობს მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა შეხვედრებისა და სემინარებში, ამ პროცესში კი, ღიად და თავისუფლად აფიქსირებს საკუთარ პოზიციას. იგი ადვოკატად მუშაობის პერიოდში ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული

„პროფესიული აქტივობის“ მასასიათებლის მიხედვით, უნდა შეფასდეს 2 ქულით
(მაქსიმალური 5 ქულა).

აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით,
საერთო ჯამში, კანდიდატი ლიანა კაჯაშვილს ვანიჭებ 88 ქულას.



ლევანი თევზაძე